



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის ჟურნალი

№2, 2021



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი ეროვნული კანონმდებლობის და ევროპული კონვენციის კონტინუუმში

საქართველოს კონსტიტუციით თითოეულ ადამიანს აქვს უფლება სწამდეს ღმერთი, აირჩიოს და აღიაროს ნებისმიერი რელიგია, რწმენა თუ მსოფლმხედველობა, გააზიაროს თავისი შეხედულებები, იცხოვროს და იმოქმედოს მათ შესაბამისად. ადამიანი, როგორც განუმეორებელი ყოფიერი, რომელიც არის თავის თავის შესაძლებლობათა მთელი სპექტრი, წარმოადგენს ექსისტენციის ფილოსოფიის საგანს. ამ ფილოსოფიაში სინდისი წარმოადგენს ადამიანური ყოფიერების ექსისტენციალურ მახასიათებელს და იგი ფუნდამენტური ზნეობრივი კატეგორიაა.¹

აუცილებელია, რომ რწმენის გაცხადებისა და აღმსარებლობის გამოხატვის ფორმები შეთავსებადი იყოს ადამიანის ღირსებისა და ხელშეუხებლობის ფუნდამენტურ პრინციპებთან.

სახელმწიფოებს ადამიანის უფლებათა დაცვის დროს აქვთ მოქნილობის გარკვეული ზღვარი, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სამართლით დადგენილ შეზღუდვებს. ამგვარი მოქნილობის არსებობა ვერ გამოიწვევს სახელმწიფოს მხრიდან ძირითადი უფლებების დარღვევის ფაქტებს თუ სახელმწიფოს დისკრეცია, ძირითად უფლებათა შეზღუდვა და მის მიერ გამოყენებული „უფლებამოსილებათა ზღვარი“ დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოს კონსტიტუციაში შეზღუდვის მიზნების ჩამონათვალი ბევრად ვიწროა, ვიდრე ევროპულ კონვენციაში, რომლის მონაწილეა ქართული სახელმწიფო და რომლის შესაბამისად ხდება საქმეთა განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ევროპული კონვენციისებური ვერსია დამატებითი ფარია ამ მნიშვნელოვანი ძირითადი უფლების დასაცავად, რომელიც თუ ვერ გადალახა სახელმწიფომ, მისი ქმედება უფლების შელახვად აღიქმება. აღნიშნული ნაშრომით შესაძლებელია დანახული იქნეს დაპირისპირებულ ინტერესებთან მიმართებაში სამართლიანობის ბალანსსა და საერთაშორისო პრაქტიკას შორის სასიცოცხლოდ აუცილებელი ნონასწორობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ სახელმძღვანელოს „აზრის სინდისის და რელიგიის თავისუფლება“ თანახმად თითოეულ სახელმწიფოს უფლება აქვს, შეამოწმოს ახორციელებს თუ არა თითქოსდა რელიგიური მიზნების მქონე მოძრაობა ან გაერთიანება მოსახლეობის ან საზოგადოებრივი წესრიგის დამაზიანებელ აქტივობებს.² ასევე, ცალკეულ შემთხვევაში სახელმწიფოს უფლება აქვს გაატაროს პრევენციული ზომები სხვათა ფუნდამენტური უფლებების დასაცავად.

აქედან გამომდინარე, ძირითადი უფლებების განმარტებისათვის და სახელმწიფოს მიერ უფლებათა შეზღუდვის გამოყენებისას უმჯობესია ერთმნიშვნელოვნად დაცულ იქნეს ევროპული კონვენციის სტანდარტი.

საკვანძო სიტყვები: რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის განზომილებები, მათი შეზღუდვის მიზნები და ჩარევის ლეგიტიმური ფორმები.

* კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტის წევრი, 2017 წლიდან – 2021 წლის ჩათვლით ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მონვეული ლექტორი.

¹ შაიდვეერი მ., ყოფიერება და დრო, (გერმანულიდან თარგმნა გურამ თევზაძემ), თბ., 2019.

² ევროპის საბჭო, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 31/08/2019, <https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_9_KAT.pdf> [12.10.2021].

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით თითოეულ ადამიანს აქვს უფლება სწამდეს ღმერთი, აირჩიოს და აღიაროს ნებისმიერი რელიგია, რწმენა თუ მსოფლმხედველობა, გააზიაროს თავისი შეხედულებები, იცხოვროს და იმოქმედოს მათ შესაბამისად. ადამიანს შეუძლია გააცხადოს რწმენა თუ რელიგია აღმსარებლობით, სწავლებით, ქადაგებით, წესებისა თუ რიტუალების შესრულებით, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, განკერძოებით ან საქვეყნოდ. ეს მოიცავს ასევე უფლებას – იყოს ათეისტი, არ აღიაროს ესა თუ ის მრწამსი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი გამოყოფს ერთმანეთისაგან განმასხვავებელ სამ მნიშვნელოვან პარადიგმას: რწმენას, აღმსარებლობას, სინდისს.

1995 წელს საქართველოს კონსტიტუციაში განმტკიცდა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ნუსხა როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, რომლითაც შეზღუდულია ხალხი და სახელმწიფო. საქართველოში ევროპული კონვენცია ძალაში შევიდა 1999 წელს, რის შედეგად თავისთავად დაიწყო საქართველოს კანონმდებლობის და ნორმატიული დოკუმენტების ჰარმონიზაციის პროცესი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან.³ ამ პროცესის მიზანი იყო საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის არ მომხდარიყო კოლიზია.

დღეის მდგომარეობით საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები ქვეყნის კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია, რომელთაც აქვთ ნორმატიული ძალა. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეძლევათ საშუალება საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, როგორცაა ევროპული კონვენცია, დაიცვან საკუთარი უფლებები და მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით კონსტიტუციის და კონსტიტუციური შეთანხმების შემდგომ საერთაშორისო ხელშეკრულებას მინიჭებული აქვს საქართველოს ნორმატიულ აქტებზე მაღალი იერარქიული ადგილი.⁴

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებული თავისუფლებების შეზღუდვების ევროპული კონვენციისგან განსხვავებულმა ფორმულირებამ შესაძლოა ამ თავისუფლებათა სწორი გაგების და გამოყენების პრობლემატიკა წარმოშვას. მნიშვნელოვანია, დანახულ იქნეს დაპირისპირებულ ინტერესებთან მიმართებაში სამართლიანობის ბალანსსა და საერთაშორისო პრაქტიკას შორის სასიცოცხლოდ აუცილებელი წონასწორობა.

აქვე აღსანიშნავია, რომ უფლებები და თავისუფლებები ორი ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. გეორგ ელინეკის შეხედულებით, კანონმდებლობის სფეროში თვითშეზღუდვა ვლინდება არა მხოლოდ საკანონმდებლო პროცედურის დანესებით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდის გარანტირებული უფლებების აღიარების გზით.⁵ ყველა კულტურული ხალხის სამართალში არსებობდა და ახლა მეტი მოცულობით არსებობს უფლებათა ძირითადი კომპლექსი, რომლის მიმართ უძღურია კანონმდებლის ძალაუფლება. ადამიანის უფლებები ხალხის ისტორიული ევოლუციის დანალექია.⁶ არაერთი ფილოსოფოსის ფილოსოფიურ რეფლექსიებში წარმოდგენლია მსჯელობები ადამიანის უფლებების შესახებ, მაგალითის სახით შეიძლება მოყვანილ იქნეს: ჯონ ლოკის ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ, ჯონ სტუ-

³ დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2016, 97.

⁴ კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2004, 63.

⁵ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბ., 2003, 3.

⁶ იქვე, 2-4.

არტ მილის ნაშრომი „თავისუფლების შესახებ“ და ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომლის ავტორი იყო ტომას ჯეფერსონი. „ადამიანის ძირითადი უფლებების ცნება ასევე უკავშირდება კანონის უზენაესობის კონსტიტუციურ პრინციპს – აუცილებელ შეზღუდვებს სუვერენის ან პარლამენტის მიერ აბსოლუტური ძალაუფლების გამოყენებაზე“.⁷ „არსებობს ორი ძირითადი ამოსავალი თეორია: თავისუფლებაზე დაფუძნებული თეორია, რომელიც გავრცელებულია საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში და კონტინენტური სამართლის ქვეყნების თეორია, რომელიც უფლებებზე არის დაფუძნებული. ორივე თეორია დაფუძნებულია დამოკიდებულებაზე ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის და ორივე ცდილობს ადამიანის პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის რეგულირებას. ძირითადად, თავისუფლების თეორიები მოითხოვს, რომ ადამიანი თავისუფალი იყოს სახელმწიფოს მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან, ხოლო უფლებათა თეორიები ეფუძნება ადამიანის განუყოფელ უფლებებს, რომლებსაც სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს“.⁸ უფლებები თავისი შინაარსით, გულისხმობს, რომ ინდივიდს გააჩნია მორალური ან იურიდიული უფლება გააკეთოს რაიმე. ხოლო, თავისუფლების პრიმარული მოცემულობა გულისხმობს ადამიანის არჩევანსა და მოქმედებაში სახელმწიფოს მიერ იძულების ან შეზღუდვის არარსებობას. ზოგადად კი ადამიანის ძირითადი უფლებები უზრუნველყოფს და იცავს ადამიანის თავისუფლებას სახელმწიფოს მიერ უკანონო ინტერვენციისგან. ამ თვალსაზრისით უფლებები და თავისუფლებები ყოველთვის განუყოფელია.⁹

ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას აუცილებელია დაკმაყოფილებულ იქნეს კონსტიტუციის მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, შეზღუდვა არა მხოლოდ უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, არამედ უნდა იყოს ღირებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგი/ვარგისი, პროპორციული, თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება. ხოლო თანაზომიერების პრინციპის განმარტებისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეხედულებით, თანაზომიერების პრინციპი ასევე მოითხოვს, რომ დაცული იყოს პროპორციულობა ვინრო გაგებით, რაც გულისხმობს, აუცილებლობას უფლებამშემზღუდველი ღონისძიების შემუშავებისას სახელმწიფომ დაადგინოს სამართლიანი ბალანსი იმგვარად, რომ დაცული სიკეთე და მისი დაცვის ინტერესი აღემატებოდეს შეზღუდული უფლების დაცვის ინტერესს.¹⁰

სახელმწიფოები იტოვებენ ადამიანის უფლებების შეზღუდვის უფლებას მაშინ, როცა ეს გარდაუვლად და შესაბამისად მიაჩნიათ. ეს უფლებამოსილება კი გამომდინარეობს იმის აღიარებიდან, რომ უფლებები არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეზღუდულ იქნეს იმ ფარგლებით, რომელიც დამოკიდებულია სახელმწიფო პოლიტიკის, უსაფრთხოების, მორალის ან ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.¹¹

⁷ სმიტი რ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები სახელმძღვანელო, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა (2005), ნიუ-იორკი, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, (თარგმანი კობიაშვილი მ.) თბ., 2006, 44.

⁸ იქვე, 45.

⁹ მაგალითად, ხმის მიცემის უფლება ყველა მოქალაქეს ანიჭებს არჩევნებში ხმის მიცემის და არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. ავტომატურად ეს უფლება ხმის მიცემის თავისუფლებასაც განაპირობებს – ადამიანმა საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიოს კანდიდატი და პარტია.

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო II-28, №3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 14/12/2018.

¹¹ სმიტი რ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები სახელმძღვანელო, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა (2005), ნიუ-იორკი, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, (თარგმანი კობიაშვილი მ.) თბ., 2006, 252.

2. რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლებათა განმარტება

რელიგიური დისკრიმინაცია და შეუწყნარებლობა საერთაშორისო კონფლიქტების და არეულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია და ამის ნათელი მაგალითია ისრაელი/პალესტინის კონფლიქტი, ხოლო რელიგიური ნიშნით უსაფრთხოებისთვის საშიშროების შექმნის ფაქტი კარგად ჩანს ბალკანეთის შემთხვევაში.¹² გაეროს კვლევის თანახმად რელიგიური შეუწყნარებლობის გამოვლინების დროს არსებობს ორი საფეხური: არახელსაყრელი დამოკიდებულება განსხვავებული რელიგიის ან რწმენის მქონე ადამიანებისადმი და ამგვარი დამოკიდებულების პრაქტიკული გამოვლინება.¹³ გაეროს გენერალურმა ანსაბლემ 1981 წლის 25 ნოემბერს მიიღო რელიგიასა და რწმენაზე დაფუძნებული შეუწყნარებლობის და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის დეკლარაცია, რის საფუძველზეც განამტკიცა რწმენის თავისუფლების პატივისცემის იდეა.¹⁴ დეკლარაციაში გაცხადებული უფლებითა და თავისუფლებით სარგებლობს ყველა, გამონაკლისის გარეშე. დეკლარაციის მე-6 მუხლში მოცემულია იმ უფლებათა არასრული ჩამონათვალი, რომელიც დაკავშირებულია აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან. მაგალითის სახით შეიძლება მოყვანილ იქნეს რამოდენიმე მათგანი: ა) რელიგიური ან სარწმუნოებრივი დასვენებების და სადღესასწაულო დღეების დაცვა; ბ) თავყვანისცემა და შეკრება რელიგიური თუ სარწმუნოებრივი მიზნებით და ამისთვის განკუთვნილი ადგილების დადგენა; გ) რელიგიური ტრადიციებისთვის აუცილებელი მასალის შექმნა; დ) შემონირობების მიღება; ე) ამ სფეროსთვის შესაბამისი პუბლიკაციების შედგენა და სხვა.

თუმცა, დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ურთიერთშემწყნარებლობა არ გულისხმობს რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის აბსოლუტურ თავისუფლებას. ამ უფლებების სრულმა და შეუზღუდავმა გამოყენებამ შეიძლება ადამიანის სხვა უფლებების ხელყოფამდე მიგვიყვანოს. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქმეში „კარნელ სინ ბინდერი კანადის წინააღმდეგ“, პრიორიტეტი მიანიჭა არა რელიგიური უფლების დაცვას, არამედ უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობას. საქმის ფაქტობრივი მასალების მიხედვით, კარნელ სინ ბინდერმა დაკარგა ელექტრიკოსის ადგილი კანადის სარკინიგზო კომპანიაში, რადგან მან უარი განაცხადა სავალდებულო მყარი ჩაფხუტის ტარებაზე და მოითხოვა ჩალმის ტარების ნებართვა. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გადანყვეტილებაში აღნიშნა, რომ კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვს დასაქმებულთა მიერ მყარი ქუდების ტარებას რათა დაცულნი იქნენ დაზიანებებისაგან და ელექტრო შოკისგან, უნდა ჩაითვალოს გონივრულ კრიტერიუმად და ობიექტური მიზნების დაცვისკენ მიმართულ შეზღუდვად, რაც თავსებადია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტთან.¹⁵

¹² სმიტი რ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები სახელმძღვანელო, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა (2005), ნიუ-იორკი, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, (თარგმანი კობიაშვილი მ.) თბ., 2006, 280.

¹³ United Nations, Economic and Social Council, Commission on Human Rights, report of the sub-commission on prevention of discrimination and protection of minorities on its thirty-ninth Session, E/CN.4/Sub.2/1987/42, 23/11/1987, 119. Para.15.

¹⁴ General Assembly, Declaration on the Elimination of All Forms of Intolerance and of Discrimination Based on Religion or Belief, resolution 36/55, 25/11/1981, <<https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/religionorbelief.aspx>> [12.10.2021].

¹⁵ Karnel Singh Bhinder v. Canada, Human Rights Committee, Thirty-seventh session, Communication Nos. 208/1986, U.N. Doc. CCPR/C/37/D/208/1986, 1989, <<http://hrlibrary.umn.edu/undocs/session37/208-1986.html>> [12.10.2021].

რწმენისა და სინდისის ფენომენის სამართლებრივ-ფილოსოფიურ ჭრილში განმარტებამდე აღსანიშნავია, რომ აღმსარებლობის თავისუფლება საერთოა რწმენისა და სინდისის თავისუფლებისთვის, რადგან აღმსარებლობა არის ადამიანის მიერ საკუთარი რწმენის, სინდისის და ამ საფუძველზე განხორციელებული ქმედებების საჯაროდ გაცხადება. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია გამოიყოს რელიგიის აღმსარებლობა და მოვიშველიოთ ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ არსებული ოფიციალური გზამკვლევი მისი განმარტებისთვის.¹⁶

რელიგიის აღმსარებლობა, ლოგიკური მსჯელობის თანახმადაც, კი გულისხმობს ამა თუ იმ რელიგიის აღმსარებლობას. თუ სახელმწიფოს მიერ აღიარებულია ესა თუ ის რწმენა ოფიციალურ „რელიგიად“ და რეგისტრირებულია, იგი ავტომატურად მოიპოვებს ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით და საქართველოს კონსტიტუციით დაცვას. ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით განმტკიცებული უფლება აზრს და ეფექტურობას დაკარგავს, თუკი სახელმწიფოები უფლებათა განმარტების დისკრეციას ბოროტად გამოიყენებენ.¹⁷ რელიგიური დენომინაციის ცნების განმარტება/ინტერპრეტირება შემზღუდავი ფორმით თავისთავად ართმევს სხვა რელიგიურ უმცირესობებს ამ თავისუფლებით სარგებლობის როგორც შესაძლებლობას, ასევე საშუალებას. აგრეთვე გაჩნდება სეკულარიზმის პრინციპის დარღვევის რისკი რელიგიურ და საკანონმდებლო წესებს შორის ბალანსის დარღვევით და რელიგიის თავისუფლების უფლების გამოყენების შეზღუდვით.¹⁸

რელიგიური მრწამსი არ შემოიფარგლება მხოლოდ „ძირითადი“ რელიგიებით. ამასთან, სავარაუდო რელიგია მაინც იდენტიფიცირებადი უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს მხრიდან ხდება გაუმართლებელი ჩარევა განმცხადებლის მრწამსში, ხოლო ამ მრწამსს განმცხადებელი რელიგიად მოიხსენიებს, ეს საკითხი სასამართლოში შეიძლება განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყდეს. „იგი (რელიგია) განიხილება, როგორც რაღაც „ბუნებრივი“ მოვლენა, აქედან გამომდინარე, არასამართლიანი იქნებოდა ადამიანების ამ ნიშნით დისკრიმინაცია მათი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებისას“.¹⁹

სახელმწიფოს მიერ ადამიანის მრწამსის გამოხატვის შეზღუდვისას დაცული უნდა იქნეს შეფასებითი ზღვარი და სამართლიანი ბალანსი იქედან გამომდინარე, რომ რელიგიის განზომილება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც ადგენს მორწმუნეთა ვინაობას და მათ კონცეფციას ცხოვრებაზე. საქმეზე „ევეიდა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის მაგალითი სამართლიანი ბალანსის დადგენისას, თუ როგორ უნდა მოხდეს შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის და მე-9 მუხლით აღიარებული უფლების შეპირისპირება. კერძოდ: სასწორის ერთ მხარეს იყო ქალბატონი ევეიდას სურვილი გამოეხატა თავისი რელიგიური რწმენა (ჯანსაღი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის აუცილებელია

¹⁶ ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 04/11/1950, <https://www.echr.coe.int/documents/convention_kat.pdf> [12/10.2021].

¹⁷ ევროპის საბჭო, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 31/08/2019, <https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_9_KAT.pdf> [12.10.2021].

¹⁸ Izzettin Dogan and others v. Turkey, European Court of Human Rights (Grand Chamber), Application no. 62649/10, 26/04/2016, <https://www.legislationline.org/download/id/6659/file/ECHR_Izzettin%20Dogan%20and%20Others%20v.%20Turkey_2016_en.pdf> [12.10.2021].

¹⁹ Dickson B., The United Nations and Freedom of Religion, International and Comparative Law Quarterly, Cambridge University Press, Vol.44, № 2, 1995, 327.

პლურალიზმი და მრავალფეროვნება. საზოგადოება უნდა იყოს შემწყნარებელი იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც რელიგია თავიანთი ცხოვრების ცენტრალურ პრინციპად აქციეს და მის მიხედვით შედიან კომუნიკაციაში სხვა ადამიანებთან). სასწორის მეორე მხარეს კი იყო დამსაქმებლის სურვილი, შეექმნა გარკვეული კორპორატიული იმიჯი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლის მიზანი უდავოდ ლეგიტიმური იყო, ეროვნულმა სასამართლოებმა მას გადამეტებულად დიდი წონა მიანიჭეს. ქალბატონი ევეიდას გულზე დაკიდული ჯვარი მოკრძალებული იყო და ვერ შელახავდა მის პროფესიულ გარეგნობას. გარდა ამისა, ამავე კომპანიაში არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ სხვა თანამშრომლების მიერ ნებადართული რელიგიური ტანსაცმლის ტარება, როგორცაა ტურბანები და ჰიჯაბი, რაიმე ნეგატიურ გავლენას ახდენდა **British Airways**-ის ბრენდსა თუ იმიჯზე. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა საკმარისად ვერ დაიცვეს პირველი განმცხადებლის (ევეიდა) უფლება, გამოეყენებინა თავისი რელიგია, რადგან სხვათა ინტერსების რეალური ხელყოფის შესახებ მტკიცებულებები არ არსებობდა. აღნიშნულით კი დაირღვა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება.²⁰

ზემოაღნიშნულ კონტექსტში, მნიშვნელოვანია რწმენისა და სინდისის თავისუფლებათა ანალიზი.

რწმენა გულისხმობს ადამიანის რწმენას რაიმეს ჭეშმარიტებაში ან მცდარობაში, რომელიც შესაბამისი არგუმენტებით არის გამყარებული.²¹ იგი სუბიექტურია თავისი არსით. რწმენა მოიცავს როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ საფუძვლებს.²² ასევე რწმენა მოიცავს ფილოსოფიურ შეხედულებათა ფართო სპექტრს მაგ: პაციფიზმი, ვეგანიზმი და ა.შ. რწმენის პრეზენტირება თავისთავად უკავშირდება რელიგიის თავისუფლებას.²³ იმისათვის, რომ ამა თუ იმ რწმენამ ევროპული კონვენციის საფუძვლზე მოიპოვოს დაცვა, საჭიროა, მისი მნიშვნელობის განსაზღვრულობის, სიმყარის და დამაჯერებლობის ხარისხი იყოს სახეზე. ამ თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობა ადამიანს აქვს როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად. რწმენის თავისუფლებით დაცულია აგრეთვე რელიგიის განხორციელების საშუალებები: წირვა, ლოცვა, პროცესიები, ეკლესიური შეკრებები და სხვა. რწმენის თავისუფლება არარეალიზებადი და უფუნქციო იქნებოდა, თუ მისი სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობა არ ექნებოდა ადამიანებს. რწმენის შესაბამისად ცხოვრების წარმართვის შესაძლებლობის არარსებობა თავისთავად უკარგავს აზრს ამ უფლების აღიარებას.²⁴

რაც შეეხება პირად რწმენას ან იდეოლოგიას, ის უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ მოსაზრება. ისინი შეხედულებებია, რომლებმაც მიაღწიეს გარკვეულ კოეფიციენტურობას, სერიო-

²⁰ Eweida and others v. The United Kingdom, European Court of Human Rights (Fourth Section), (Applications nos. 48420/10, 59842/10, 51671/10 and 36516/10), 15.01.2013, <<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-115881%22%5D%7D>> [12.10.2021].

²¹ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., 2003, 138.

²² ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერიძე გ., გოციროძე ვ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2013, 184.

²³ იქვე, 168.

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, N1/1/477 გადაწყვეტილება, 22/12/2011.

ზულობას, ერთიანობას და მნიშვნელობას.²⁵ ასევე მათ უნდა ჰქონდეთ იდენტიფიცირებადი ფორმალური შინაარსი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული კიდევ ერთი უფლება სინდისის თავისუფლებაა, რომელიც შეიძლება ასე განიმარტოს: ეს არის ადამიანის უფლება მიიღოს გადანყვეტილებები, იცხოვროს და იმოქმედოს თავისი სინდისის შესაბამისად. იგი ეფუძნება ადამიანის უნარს, იაზროვნოს ზნეობრივი კატეგორიებით: „კარგი“ „სწორი“, „ცუდი“, „მცდარი“. სინდისის თავისუფლება ადამიანს აძლევს უფლებას თავად იქონიოს თავისი ცხოვრების კრედო. სინდისის ფენომენი ადამიანს ღმერთიდან მოსდგამს. ადამიანი, როგორც განუმეორებელი ყოფიერი, რომელიც არის თავის თავის შესაძლებლობათა მთელი სპექტრი, წარმოადგენს ექსისტენციის ფილოსოფიის საგანს.²⁶ ამ ფილოსოფიაში სინდისი წარმოადგენს ადამიანური ყოფიერების ექსისტენციალურ მახასიათებელს და იგი ფუნდამენტური ზნეობრივი კატეგორიაა. ჰაიდეგერის მიხედვით, სინდისის „ძახილი სწორედ რომ არასდროს არ შეიძლება ჩვენს მიერ დაგეგმილი, მომზადებული, ან თვითნებურად განხორციელებული იქნას. ხდება ძახილი მოლოდინისა და ნების წინააღმდეგ. მეორე მხრივ ძახილი უეჭველად არ მოდის რაიმე სხვისაგან, რომელიც ჩემთან ერთად სამყაროში არის. ძახილი გამოდის ჩემგან და მაინც ჩემს შესახებ“.²⁷ ფილოსოფოსთა გარკვეული ნაწილი კი თვლის, რომ სინდისის, ისევე როგორც ზოგადად მორალის ფენომენის ფორმირება ადამიანში ხდება სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების შედაგად მაგალითის სახით შეიძლება მოყვანილ იქნეს კარლ მარქსის ნიგნი „გერმანული იდეოლოგია“. მათ შორის შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ სინდისის საწყისები საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტერეოტოპებიდან, სტიგმებიდან და ზოგადად კაცობრიობის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე მიღებული ეთიკური დოგმებიდან მოდის. მატერიალისტების და ემპირისტების აზრით, სინდისი ყალიბდება სოციალური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. მაგალითის სახით პარალელი შეიძლება გაივლოს ჩვევებთან და რეფლექსებთან. ფრიდრიხ ნიცშესთვის კი სინდისი ქიმერაა, რომელიც გამოწვეულია ადამიანის თვითდათრგუნვით და თვითგვემით სოციალური პროცესების ზეგავლენის შედეგად.²⁸ ალბათ, ამიტომაც ისტორიის განმავლობაში და სხვადასხვა ცივილიზაციაში იცვლება ზნეობრივი კატეგორიები და იმპერატივები.

3. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ თავისუფლებათა შეზღუდვის სპეციფიკა

სახელმწიფოებს ადამიანის უფლებათა დაცვის დროს გააჩნიათ მოქნილობის გარკვეული ზღვარი, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სამართლით დადგენილ შეზღუდვებს. იმისდა მიუხედავად, რომ მოქნილობის დონის გამომხატველია სიტყვები: აუცილებლობა, სახელმწიფო უსაფრთხოება, სხვათა უფლებების დაცვა და საგანგებო მდგომარეობა, სახელმწიფომ ყოველთვის პროპორციული რეაგირება უნდა მოახდინოს და ძირითადი უფლებების დარღვევის საფრთხეები მინიმუმამდე დაიყვანოს. უფლებამოსილების ზღვარის დადგენით ევროპულმა კონვენციამ მისცა საშუალება სახელმწიფოებს გამხდარიყვნენ მისი ხელშემკვრელი

²⁵ Eweida and others v. The United Kingdom, European Court of Human Rights (Fourth Section), (Applications nos. 48420/10, 59842/10, 51671/10 and 36516/10), 15.01.2013. <<https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:%22001-115881%22>> [12.10.2021].

²⁶ ჰაიდეგერი მ., ყოფიერება და დრო, გერმანულიდან თარგმნა გურამ თევზაძემ, თბ., 2019, 1-917.

²⁷ იქვე, 413.

²⁸ Ницше Ф., Генеалогии морали, сочинения в двух томах, том 2, издательство „мысль“, Москва, 1990.

მხარეები და ამ ფორმით პატივი სცა სახელმწიფოების სუვერენობას, მორალის და სახელმწიფოში ეროვნული სტანდარტების დაცვას.²⁹

როცა სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლებათა განხილვა ხდება, აუცილებელია, ისინი გაიყოს ორ, შინაგან (*forum intenum*) და გარეგან (*forum externum*), განზომილებად.³⁰

შინაგანი განზომილება: ის, რასაც ადამიანი თავის გონებაში ფიქრობს, თითოეული ჩვენგანის შინაგანი სამყარო, ჩვენში არსებული რწმენა, არაგაცხადებული ფიქრები და სინდისი. შინაგანი განზომილების შეზღუდვის უფლება არ აქვს სახელმწიფოს და ის აბსოლუტურ დაცვას ექვემდებარება. ეს უფლება არ ექვემდებარება შეზღუდვას ან რეგულირებას, რადგან ის ინდივიდის იდენტობის, ავტონომიის საფუძველს ქმნის.³¹

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, დაავალდებულოს მღვდელი, გასცეს აღსარების დროს მიღებული ინფორმაცია, ან მოითხოვოს საეკლესიო საიდუმლოების მისთვის გადაცემა. შესაძლებელია ზემოაღნიშნული მაგალითი შინაგანი განზომილების მაღალი დაცულობის მაჩვენებლად ჩაითვალოს.

გარეგანი განზომილება: ადამიანის რელიგიის გაცხადების ფორმაა, მაგალითად: როცა ადამიანი ქადაგებს, როგორ ქადაგებს ან რა რიტუალებს ატარებს საჯაროდ. ამ შემთხვევაში შეიძლება კონსტიტუციის და ევროპული კონვენციის სტანდარტების შესაბამისად სახელმწიფომ შეზღუდოს გარეგანი განზომილება.³²

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ სიკეთეთა გაცხადება აბსოლუტურ დაცვას არ ექვემდებარება და გარკვეულ სიტუაციებში შეიძლება შეზღუდულ იქნეს სახელმწიფოს მიერ. ზუსტად ამ შეზღუდვების ამომწურავ ჩამონათვალს ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია, თუმცა, ამ შეზღუდვათა განმარტებისთვის მიზანშეწონილია ევროპულ კონვენციასა და მის გზამკვლევზე დაყრდნობა.³³

აუცილებელია, რომ რწმენის გაცხადება და აღმსარებლობის გამოხატვის ფორმა შეთავსებადი იყოს ადამიანის ღირსებისა და ხელშეუხებლობის ფუნდამენტურ პრინციპებთან. ადამიანები რწმენის გაცხადების დროს უნდა მზად იყვნენ გარკვეული „საზღაურის გაღებისთვის“, რადგან ისინი თანაცხოვრებენ იმ სოციუმში, სადაც სხვა ადამიანებსაც სურთ თვითრეალიზაცია, რაც შეუძლებელი იქნება მათი უფლებების, ღირსების და ავტონომიის პატივისცემის გარეშე.³⁴

²⁹ *სმიტი რ.*, ადამიანის საერთაშორისო უფლებები სახელმძღვანელო, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა (2005), ნიუ-იორკი, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა (თარგმანი კობიაშვილი მ.), თბ., 2006, 252-253.

³⁰ *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, თბ., 2003, 137.

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო II-4, №2/482, 483, 487, 502 გადაწყვეტილება საქმეზე: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩივანულნი და ჯაბა ჯიმკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 08/04/2011.

³² იქვე.

³³ *ევროპის საბჭო*, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 31/08/2019, <https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_9_KAT.pdf> [12.10.2021].

³⁴ *ტულუში თ.*, *ბურჯანაძე გ.*, *მშვენიერიძე გ.*, *გოცირიძე გ.*, *მენაბდე ვ.*, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2013, 176.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ კონსტიტუციაში შეზღუდვის მიზნების ჩამონათვალი ბევრად ვიწროა, ვიდრე ევროპულ კონვენციაში, რომლის მონაწილეა ჩვენი ქვეყანა და რომლის შესაბამისად ხდება საქმეთა განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით: „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“.³⁵

ევროპული კონვენციის მიხედვით, „რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“.³⁶

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გათვალისწინებული სიკეთის შეზღუდვა ევროპული კონვენციის მიხედვით შესაძლებელია საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა დასაცავად. ქართული კანონმდებლობით არსებული შეზღუდვის ერთ-ერთი მიზანი – „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, ევროპულ კონვენციაში ფორმულირებულია, როგორც უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლებისთვის აუცილებელი პირობა („აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის“). ევროპული კონვენციისებური ვერსია კიდევ ერთი ფარია ამ მნიშვნელოვანი ძირითადი უფლების დასაცავად, რომელიც თუ ვერ გადალახა სახელმწიფომ, მისი ქმედება უფლების შელახვად აღიქმება.

ევროპულ კონვენციაში შეზღუდვათა ჩამონათვალი საზოგადოებრივი წესრიგი, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, უფრო ფართოა საქართველოს კონსტიტუციასთან შედარებით. დროის კონტინუუმში ასახულმა რეალობამ და კაცობრიობის განვითარებამ, სამართალშემოქმედებს გარკვეულწილად დაანახა შეზღუდვების ფორმები, რაც სახელმწიფოს სჭირდება ნორმალურად ფუნქციონირებისათვის.

თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ამ შეზღუდვათაგან ერთ-ერთის არსებობა ავტომატურად არ იძლევა სახელმწიფოს ქმედების გამართლების ეფექტს.

ზემოაღნიშნული შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში, იმისათვის, რომ გამართლდეს სახელმწიფოს მიერ რწმენის თავისუფლებაში ჩარევა და ეს უფლების დარღვევად არ დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია, რამდენიმე პირობა კუმულაციურად იქნეს დაცული.

სახელმწიფოს მიერ ადამიანის ძირითად უფლებაში ჩარევა (ევროპული კონვენციის მიხედვით) დასაშვებია, თუ იგი:

*გათვალისწინებულია კანონით, ემსახურება კანონიერი ინტერესის მიღწევას, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში და პროპორციულია დასახულ კანონიერ ინტერესთან მიმართებაში.*³⁷

³⁵ საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995, 786, მე-16 მუხლი.

³⁶ ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 04/11/1950, მე-9 მუხლი, <https://www.echr.coe.int/documents/convention_kat.pdf> [12.10.2021].

³⁷ Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, European Court of Human Rights, no 45701/99, 13/12/2001.

ასევე, 2004 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სახელმწიფოს მიერ ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციური შემონემების სამსაფეხურიანი ტესტი ჩამოაყალიბა.³⁸

მიზანშეწონილია, სათითაოდ განმარტებულიყო ზემოაღნიშნული კრიტერიუმები:

ა) კანონით გათვალისწინებული (კონსტიტუციის მე-16 მუხლში ვხვდებით ჩანანერს: მხოლოდ კანონის შესაბამისად) – ჩარევა გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით, შესაბამისი ნორმატიული აქტით. ამასთან, კანონი უნდა იყოს „ადეკვატურად ხელმისაწვდომი“, განჭვრეტადი და შესაბამისი სიზუსტით ფორმულირებული (არა ბუნდოვანი), რომ ადამიანებს შეეძლოთ მის საფუძველზე დაარეგულირონ (მოანესრიგონ) თავიანთი ქმედება. კანონი, რის საფუძველზეც ხდება ძირითადი უფლებების შეზღუდვა, უნდა იყოს საკმარისად განჭვრეტადი და არ უნდა აძლევდეს აღმასრულებელ ხელისუფლებას ინტერპრეტირების დიდ თავისუფლებასა და თვითნებური მოქმედების შესაძლებლობას.³⁹

ბ) კანონიერი მიზანი – ჩარევა გამართლებულია მხოლოდ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ჯანმრთელობის, მორალისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ევროპული კონვენციის მე-9 მუხლიდან გამომდინარე, „სხვათა უფლებებში“ შეიძლება იგულისხმებოდეს იმ ადამიანთა უფლებები, რომელთა უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და მორალის დაცვის ინტერესებიც დაირღვა, ან ადამიანს საფრთხე შეექმნა სხვისი რელიგიისა თუ რწმენის გაცხადების შედეგად. მაგალითად, საქმეში „ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, რომელიც გაერთიანებული სამეფოს „მიუღებელი გამოცემების შესახებ“ კანონის მიხედვით წიგნის აკრძალვას ეხებოდა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ყველა ქვეყანას საკუთარ საზოგადოებასთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად უვითარდება უნარი, უკეთ განსაზღვროს საზოგადოებრივი მორალის და ასეთი საკითხების შინაარსი.⁴⁰ ამ შემთხვევაში საერთაშორისო უწყებები ასრულებენ მხოლოდ მეთვალყურის როლს.

გ) აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში (საერთო პრინციპები) – რელიგიის თავისუფლებაში ჩარევისას სახელმწიფომ უნდა შეაფასოს, არის თუ არა ჩარევა აუცილებელი დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად და რამდენად პროპორციულია ჩარევის ღონისძიება სწორედ ამ მიზანთან მიმართებაში. სახელმწიფომ უნდა დააბალანსოს დაპირისპირებული ინტერესები, კონკრეტულ ჩარევაზე აუცილებლობის ინდივიდუალური მაჩვენებელი შეაფასოს და არ დაუშვას რელიგიის თავისუფლებაში ინტენსიური, გაუმართლებელი და მეტისმეტი ჩარევა. დემოკრატიულ საზოგადოებაში მთავარი პრინციპია, სახელმწიფოს აპრიორში ჰქონდეს ხედვა და მცდელობა გამოყენებულ იქნეს ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიებები. აქედან გამომდინარე, უნდა გაირკვეს, სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვა ხომ არ არის იმაზე ფართო, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის არის აუცილებელი და ხომ არ არსებობს სხვა ნაკლებად მზღუდავი საშუალება, რომლითაც შესაძლებელი იქნება მიზნის მიღწევა.⁴¹

³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, № 2/1/241 გადაწყვეტილება, 11/03/2004.

³⁹ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., 2003, 78-79.

⁴⁰ Handyside v United Kingdom, European Court of Human Rights, Application no. 5493/72, 07/12/1976.

⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო I კოლეგია, №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 01/05/2020, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1268>> [12/01/2022].

დ) პროპორციულია დასახულ კანონიერ ინტერესთან მიმართებაში – ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის განხილვისას ვითვალისწინებთ პროპორციულობის (იგივე თანაზომიერების) პრინციპს. ეს გულისხმობს რომ:

1. ჩარევა უნდა ემსახუროდეს ლეგიტიმურ მიზანს – დასადგენია თუ რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება უფლებაშემზღუდველი ღონისძიება, რადგან ლეგიტიმური მიზნის არარსებობის დროს ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათისაა და აქედან გამომდინარე, უფლების შეზღუდვა საფუძველშივე არაკონსტიტუციურია.⁴²

2. ჩარევა უნდა იყოს გამოსადეგი/დასაშვები ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – აღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულია, როდესაც მიზნის მიღწევა თუნდაც თეორიულადაა შესაძლებელი. ნორმებით გათვალისწინებულ შეზღუდვის ღონისძიებებსა და ლეგიტიმურ მიზანს შორის უნდა არსებობდეს რაციონალური, ლოგიკური კავშირი.⁴³

3. ჩარევის ფორმა და ინტენსივობა უნდა იყოს აუცილებელი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ჩარევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შედარებით რბილი საშუალება, რომელიც მიზნის მისაღწევად ისეთივე ეფექტურ შედეგს მოგვცემდა. მინიმალური შეზღუდვის გამოყენების აუცილებლობა არ გაამართლებს მასზე უფო მეტი მასშტაბის მქონე შეზღუდვის გამოყენებას.⁴⁴

4. ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი (პროპორციული) – ჩარევის შესაბამისობის დადგენისას, წარმოებს ჩარევით შეზღუდულ და დაცულ სიკეთეთა შედარება.⁴⁵ აქედან გამომდინარე, შეზღუდულ და დაცულ სიკეთეთა შედარებისას ჩარევის პროპორციულობის შეფასება ყოველთვის საქმის ინდივიდუალურ მახასიათებლებზეა დამოკიდებული.

ძირითადი უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობის განსაზღვრისას და ინტერესთა ბალანსის დადგენისას მნიშვნელოვანია პროპორციულობის ტესტის ჩატარება, რომელიც თავის თავში მოიცავს შესაბამისობის, აუცილებლობის და თანაზომიერების კრიტერიუმების შეფასებას ყოველ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში.⁴⁶

მაგალითის სახით მოვიშველიოთ კონკრეტული სფეროები, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს: არასათანადო პროზელიტიზმი, რელიგიური სამოსის ტარება და სხვა.

ზოგადად ადამიანის უფლებთა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა რელიგიურ სამოსის ტარებასთან დაკავშირებით 2014 წლამდე იყო აბსოლიტურად განსხვავებული, მაგალითად: ლეილა საჰინი თურქეთის წინააღმდეგ, სადაც ევროპულმა სასამართლომ უყოყმანოდ გაიზიარა მომჩივნის მოსაზრება, რომ ისლამური თავსაბურავის ტარება წარმოადგენდა რელიგიის გაცხადებას.⁴⁷ ხოლო 2014 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ

⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო II-15, №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 05/11/2013.

⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო I კოლეგია, №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 01/05/2020, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1268>> [12.10.2021].

⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო II-60, №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 26/06/2012.

⁴⁵ დემეტრაშვილი, გ. გოგიაშვილი, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2016, 102-103.

⁴⁶ იქვე, 103.

⁴⁷ Leyla Şahin v. Turkey, European Court of Human Rights, Application no. 44774/98, 10/11/2005, <[https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:\[%22001-70956%22\]](https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:[%22001-70956%22])>. [12/01/2021].

საფრანგეთის სასარგებლოდ გადაწყვიტა საქმე ხიჯაბის მოხსნასთან დაკავშირებით.⁴⁸ აქ საინტერესო ზუსტად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაა, რომელიც საქართველოსთვისაც გასათვალისწინებელია. ამ კონკრეტული საქმისთვის ზუსტად ამოსავალი წერტილი იყო თანაცხოვრება იმ სოციუმში, სადაც შედის უცხო ქვეყნის თუ სხვა წეს-ჩვეულების ადამიანი⁴⁹, ქვეყნის უსაფრთხოება⁵⁰ და სხვა ადამიანების უფლებები და თავისუფლებები.⁵¹ ზუსტად ამ სამ ღირებულებაზე დაყრდნობით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საფრანგეთის ქმედება დარღვევად არ ჩათვალა.

ეს გადაწყვეტილება გახდა პრეცედენტული სამართლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რწმენის გამოხატვის ფორმასთან და მის ლეგიტიმურ შეზღუდვასთან მიმართებაში. სამწუხაროა, რომ დღეს ასეთი მნიშვნელობის გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ პოლიტიკურად მყარი პოზიციების მქონე ქვეყნებისთვის.

რელიგიისა და რწმენის გაცხადების თავისუფლება გულისხმობს მათ გამოვლინებას, თუმცა არსებობს ფორმები, რომელიც მიუღებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის და ექვემდებარება შეზღუდვას. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს – არასათანადო პროზელიტიზმი. რელიგიის და რწმენის გაცხადება გამოიხატება ღვთისმსახურების განხორციელებით, წირვა-ლოცვაში მონაწილეობით, ქადაგებითა და რელიგიური ცოდნის გავრცელებით (მათ შორის საკუთარ რელიგიაზე, საკუთარ რწმენაზე სხვათა მოქცევის მიზნით), რელიგიურ შეხვედრებში მონაწილეობითა და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნით, რელიგიური წეს-ჩვეულებების, რიტუალების შესრულებით (მარხვის დაცვა, აღსარების ჩაბარება, ზიარება, ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მიღება), რელიგიური კუთვნილების დამადასტურებელი სამოსის, სიმბოლიკის ან სამკაულის ტარებით, განდევილი, დაყუდებული ცხოვრების წესის არჩევით და სხვადასხვა სახით. რელიგიისა და რწმენის გაცხადების თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით დაცულია იმის მიუხედავად, ხორციელდება იგი ინდივიდუალურად თუ სხვებთან ერთად, შეთანხმებულად თუ საკუთარი ინიციატივით, საქვეყნოდ თუ განკერძოებით. რელიგიის თავისუფლება, ასევე, ადამიანის უფლებასთან ერთად რელიგიურ გაერთიანებათა უფლებასაც წარმოადგენს. „რელიგიურ გაერთიანებებში“ შეგვიძლია ვიგულისხმოთ იურიდიული პირები, რომელთა მიზანია თავიანთი რელიგიის, რწმენის ან მსოფლმხედველობის ქადაგება წევრებს შორის, ასევე ამ ქადაგების გავრცელება.

ზუსტად ამ დროს ადამიანმა თუ ორგანიზაციამ უნდა დაიცვას ბალანსი რწმენის გავრცელებასა და არასათანადო პროზელიტიზმს შორის. რელიგიის გავრცობა, სხვა ადამიანების საკუთარ რწმენაზე მოქცევა არ უნდა გადაიზარდოს არასათანადო პროზელიტიზმში, იგივე მიუღებელი ფორმებით ადამიანის რელიგიურ რწმენაში უხეში ჩარევის სახით: ძალადობით, მოსყიდვით, ნდობის და ადამიანთა ცოდნის სიმწირის ბოროტად გამოყენებით. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება, აკრძალოს ამგვარი ზემოქმედება დემოკრატიული საზოგადოების წევრებზე და დაიცვას მათი პირადი სივრცე სხვათა მიერ უხეში ჩარევისგან.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ სახელმძღვანელოს „აზრის სინდისის და რელიგიის თავისუფლება“ შესაბამისად, თითოეულ სახელმწიფოს უფლება აქვს, შეამოწმოს ახორციელებს თუ არა თითქოსდა რელიგიური მიზნების მქონე მოძრაობა

⁴⁸ S.A.S. v. France, European Court of Human Rights, application no. 43835/11, 01/07/2014.

⁴⁹ “respect for the minimum set of values of an open democratic society (living together)”.

⁵⁰ “public safety”.

⁵¹ “protection of the rights and freedoms of others”.

ან გაერთიანება მოსახლეობის ან საზოგადოებრივი წესრიგის დამაზიანებელ აქტივობებს.⁵² ასევე, ზოგ შემთხვევაში, სახელმწიფოს უფლება აქვს, გაატაროს პრევენციული ზომები სხვათა ფუნდამენტური უფლებების დასაცავად. საქმეში „ლეელა ფორდერკრეისი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ“ ევროპული სასამართლოს პოზიციიდან აშკარაა, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად სახელმწიფოს უფლება აქვს, მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას და გაამახვილოს მათი ყურადღება იმ საფრთხეებზე, რომელიც მომდინარეობს სექტებიდან. ამ შემთხვევაში ჩარევა ემსახურება ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონიერი მიზნების, კერძოდ, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის, ასევე, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი პრევენციული ჩარევის ძალაუფლება სრულად შეესაბამება კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას იმ კონტექსტში, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“.⁵³

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი განსხვავდება ამავე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ჩანაწერისგან. მე-3 პუნქტი აბსოლუტური დაცვის ქვეშ ათავსებს ერთ კონკრეტულ ჩანაწერს და ერთ კონკრეტულ პირობას: დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

თუ სახეზეა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის აშკარა დევნა და იძულება სინდისის და რწმენის საფუძვლით, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს ქმედებას კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება არ აქვს და ის კვალიფიცირდება ადამიანის ძირითადი უფლებების შელახვად. სახელმწიფოს არ აქვს ლეგიტიმური ბერკეტი და საფუძველი, რომ შეზღუდვის ფორმების სახით მოახდინოს ამ უფლებაში ჩარევა. მარტივად რომ ვთქვათ, მე-3 პუნქტი კრძალვას ადამიანის იძულებას, გაამჟღავნოს საკუთარი აღმსარებლობა და თავისი შეხედულება სინდისის, რწმენის შესახებ. ასევე, აკრძალულია ადამიანის დევნა მისი რწმენის საფუძველზე. „დევენის“ გამოვლენის სხვადასხვა ფორმები არსებობს, რომელშიც აშკარად გამოხატულია ადამიანის შევიწროება და მისი უფლებების დარღვევა. მაგალითის სახით შეიძლება მოყვანილ იქნეს ფაქტი, როცა ადამიანი პირადად არის ამ თავდასხმების რისკის ქვეშ ან არის ამ მოწყვლადი ან საფრთხის ქვეშ მყოფი ჯგუფის წევრი და აქედან გამომდინარე, იმგვარ არასაიმედო მდგომარეობაშია, ხოლო აღნიშნული წარმოადგენს კონვენციის მე-9 მუხლის რადიკალურ დარღვევას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შევიწროების და განსხვავებული მოპყრობის შეფასებისას პრეცედენტული სამართლის მიხედვით აფასებს, ჰქონდა თუ არა ადგილი სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი ქმედების გონივრულ და ობიექტურ დასაბუთებას.⁵⁴ მარტივად რომ ითქვას, ადგილი არ უნდა ქონდეს „პოლიტიკურ დევნას“ რელიგიური მოტივით.

⁵² ევროპის საბჭო, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 31/08/2019, 22, <https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_9_KAT.pdf> [12.01.2021].

⁵³ Leela Förderkreis e.V. and Others v. Germany, European Court of Human Rights (Fifth section), Application no. 58911/00, 06/02/2008, <<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22appno%22:%5B%2258911/00%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-89420%22%5D%7D>> [12.10.2021].

⁵⁴ Gavrilă Baciu v. Romania, European Court of Human Rights (third section), Application No. 76146/12, 17/9/2013.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, ადამიანებს შეუქმნას პლურალისტული გარემო საკუთარი მრწამსის გამოხატვისთვის სხვათა უფლებების პატივისცემის ფონზე. ეს ყოველთვის არ ნიშნავს პოზიტიური ფორმით ფულადი კომპენსაციის საკითხს.

4. დასკვნა

ზემოაღნიშნული საკითხების მიმოხილვით წარმოჩენილ იქნა რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლებათა მოქმედების ფარგლები და შეზღუდვის მახასიათებლები. ადამიანის უფლების შეზღუდვის დროს სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს თანაზომიერების პრინციპი და შეზღუდვის მიზანი უნდა იყოს საჯარო ინტერესების დაცვა,⁵⁵ რათა არ მოხდეს კერძო თუ საჯარო ინტერესების დესპოტიზმი.⁵⁶ ძირითადი უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობის განსაზღვრისას და ინტერესთა ბალანსის დადგენისას მნიშვნელოვანია პროპორციულობის ტესტის ჩატარება, რომელიც თავის თავში მოიცავს შესაბამისობის, აუცილებლობის და თანაზომიერების კრიტერიუმების შეფასებას ყოველ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით. სახელმწიფოს მიერ ადამიანის მრწამსის გამოხატვის შეზღუდვისას დაცული უნდა იქნეს შეფასებითი ზღვარი და სამართლიანი ბალანსი.

კონსტიტუციური ნორმები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებს, რომელთაგან აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.⁵⁷

რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლებების შინაარსიდან გამომდინარე შეუძლებელი და გაუმართლებელია დაცული სფეროს (უფლების) ფარგლების ამომწურავად იდენტიფიცირება, რადგან ყოველი კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურ მიდგომას და გააზრებას საჭიროებს.⁵⁸ დემოკრატიული სახელმწიფოს კონცეფციიდან გამომდინარე, გარკვეულ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულიც კი არის, რომ ჩაერიოს რწმენის თავისუფლებაში, რათა დაიცვას სხვა ადამიანის ლეგიტიმური ინტერესი.⁵⁹ ღირებულებათა კონფლიქტის სირთულე ნათელია, რადგან ორივე მხარეს აქვს უფლება და ამ უფლების დაცვის მოლოდინიც, ხოლო ამ სენსიტიური სიტუაციიდან გამოსავალის ერთ-ერთ ნაირსახეობად საზოგადოებაში დაპირისპირებულ ინტერესთა სამართლიანი ბალანსის მიღწევა და მათი ჰარმონიზაცია შეიძლება ჩაითვალოს.⁶⁰ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად სახელმწიფოს უფლება აქვს, ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას და გაამახვილოს მათი ყურადღება იმ საფრთხეებზე, რომელიც მომდინარეობს რელიგიური ორგანიზაციებიდან. ამ შემთხვევაში ჩარევა ემსახურება ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონიერი მიზნების დაცვას.

კვლევამ ცხადყო, რომ რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლებათა შეზღუდვის განმარტებისას, უმჯობესია დავეყრდნოთ ევროპული კონვენციის შესაბამისად ევრო

⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, № 1/1/477 გადაწყვეტილება, 22/12/2011. მითითებულია – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ინფორმაციის თავისუფლება გზამკვლევი, პირველი გამოცემა, თბ., 2012, 7.

⁵⁶ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბ., 2003, 248.

⁵⁷ Case of Kokkinakis v. Greece, European Court of Human Rights, Application no. 14307/88, 25/05/1993. მითითებულია: კორკელია კ., იზორია ლ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, 117.

⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო II, № 1/1/477 გადაწყვეტილება, 22/12/2011.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ იქვე.

საბჭოს გზამკვლევაში ჩამოყალიბებულ სტანდარტებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის ევროპული კონვენცია, საქართველოს კანონმდებლობაში იერარქიულად მესამე ადგილზეა და იურიდიული ძალით საქართველოს კონსტიტუცია უპირატესია.⁶¹ ფაქტია, რომ მოქმედი ნორმატიული აქტების იერარქიული თანაფარდობის მიზანი ერთია: არამართო განისაზღვროს მათი იურიდიული ძალა, არამედ სამართლებრივი კოლიზიის დროს გადაწყვეტილება მარტივად იქნეს მიღებული. თუმცა, საერთაშორისო ხელშეკრულებასა და ეროვნულ კანონმდებლობას შორის სხვაობამ შეიძლება გარკვეული კითხვის ნიშნები და სირთულეები გამოიწვიოს როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ასევე, მის თეორიულ განმარტებაში. ფაქტია, რომ ძირითადი უფლებების დარღვევის დროს ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების საბოლოო ეტაპი ევროპული კონვენციის მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებისთვის არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. აქედან გამომდინარე, ძირითადი უფლებების განმარტებისათვის და სახელმწიფოს მიერ უფლებების შეზღუდვების გამოყენებისას უმჯობესია ერთმნიშვნელოვნად დაცულ იქნეს ევროპული კონვენციის სტანდარტი.

ადამიანის უფლებათა განხორციელებისას სახელმწიფოს მოქნილობის დონის არსებობა, ეროვნული კანონმდებლობის ქრილში, ვერ გამოიწვევს სახელმწიფოს მხრიდან ძირითადი უფლებების დარღვევის ფაქტებს, თუ სახელმწიფოს დისკრეცია, ძირითად უფლებათა შეზღუდვა და მის მიერ გამოყენებული „უფლებამოსილებათა ზღვარი“ დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე.

და ბოლოს, ადამიანის დეენის აკრძალვა მისი რწმენის საფუძველზე და ადამიანის იძულების აკრძალვა გაამჟღავნოს საკუთარი რწმენა აბსოლუტურ დაცვას ექვემდებარება თუმცა, ამ აკრძალვებთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები ილუზორული არ უნდა იყოს.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995.
2. ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 04/11/1950, <https://www.echr.coe.int/documents/convention_kat.pdf> [12.10.2021].
3. დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2016, 97, 102-103.
4. ევროპის საბჭო, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 31/08/2019. <https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_9_KAT.pdf> [12.10.2021].
5. კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2004, 63.
6. კორკელია კ., იზორია ლ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, 117.
7. კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., 2003, 78-79, 137-138.
8. სმიტი რ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები სახელმძღვანელო, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა (2005), ნიუ-იორკი, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, (თარგმანი კობიაშვილი მ.) თბ., 2006, 44-45, 252, 280.

⁶¹ კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2004, 63.

9. ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერიძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013, 168, 176, 184.
10. შაიო, ა. ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბ., 2003, 2-4.
11. ჰაიდგერი მ., ყოფიერება და დრო, (გერმანულიდან თარგმნა გურამ თევზაძემ), თბ., 2019, 413, 1-917.
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო I კოლეგია, №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 01/05/2020.
13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო II-28, №3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 14/12/2018.
14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო II-15, №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 05/11/2013
15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო II-60, №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 26/06/2012.
16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, №1/1/477 გადაწყვეტილება, 22/12/2011. მითითებულია – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ინფორმაციის თავისუფლება გზამკვლევი, პირველი გამოცემა, თბ., 2012, 7.
17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, №1/1/477 გადაწყვეტილება, 22/12/2011.
18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო II, №1/1/477 გადაწყვეტილება. 22/12/2011.
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, № 2/1/241 გადაწყვეტილება, 11/03/2004.
20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო II-4, №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 08/04/2011.
21. United Nations, Economic and Social Council, Commission on Human Rights, report of the sub-commission on prevention of discrimination and protection of minorities on its thirty-ninth Session, E/CN.4/Sub.2/1987/42, 23/11/1987, 119. Para.15.
22. General Assembly, Declaration on the Elimination of All Forms of Intolerance and of Discrimination Based on Religion or Belief, resolution 36/55, 25/11/1981, <<https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/religionorbelief.aspx>> [12.10.2021].
23. Dickson B., The United Nations and Freedom of Religion, International and Comparative Law Quarterly, Cambridge University Press, Vol.44, №2, 1995, 327.
24. Ницше, Ф., Генеалогии морали, сочинения в двух томах, том 2, издательство „мысль“, Москва, 1990.
25. İzzettin Dogan and others v. Turkey, European Court of Human Rights (Grand Chamber), Application no. 62649/10, 26/04/2016.
26. S.A.S. v. France, European Court of Human Rights, application no. 43835/11, 01/07/2014.
27. Eweida and others v. The United Kingdom, European Court of Human Rights (Fourth Section), Applications nos. 48420/10, 59842/10, 51671/10 and 36516/10, 15.01.2013.
28. Gavrilă Baciú v. Romania, European Court of Human Rights (third section), Application No. 76146/12, 17/9/2013.

29. Leela Förderkreis e.V. and Others v. Germany, European Court of Human Rights (Fifth section), Application no. 58911/00, 06/02/2008.
30. Leyla Şahin v. Turkey, European Court of Human Rights, Application no. 44774/98, 10/11/2005.
31. Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, European Court of Human Rights, Application no 45701/99, 13/12/2001.
32. Karnel Singh Bhinder v. Canada, Human Rights Committee, Thirty-seventh session, Communication Nos. 208/1986, U.N. Doc. CCPR/C/37/D/208/1986 1989, <<http://hrlibrary.umn.edu/undocs/session37/208-1986.html>> [12.10.2021].
33. Handyside v United Kingdom, European Court of Human Rights, Application no. 5493/72, 07/12/1976.